

ფინანსური ანგარიშგება

01.01.2019 -31.12.2019

შპს გალტამი

ბათუმი

09.30.2020

შპს გალტამი რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ხახულის II შესახვევი N69.

კომპანია დაარსდა 1996 წელს და დაიწყო მრავალდარგობრივი საქმიანობა. დროთა განმავლობაში კომპანია გაფარდოვდა, შეიძინა მიწის ნაკვეთები ბათუმსა და თბილისში, ააშენა საწარმოო დანიშნულების შენობა ნაგებობები, სასაწყობე და საოფისე ფართები, აღჭურვა მანქანა დანადგარებითა და სხვა საჭირო ინვენტარით. 2019 წლის ბოლოსთვის კომპანიას საკუთრებაში აქვს 3 მიწის ნაკვეთი: ბათუმში, თბილისსა და მარტყოფის მუნიციპალიტეტში და საწარმოს ორი განყოფილება თბილისსა და ბათუმში.

დღეისთვის კომპანიას ჰყავს 3 დამფუძნებელი თამარ მაღაყმაძე 33% წილის მფლობელი, ნინო მაღაყმაძე 33% წილის მფლობელი და გიორგი მაღაყმაძე 34%, ხოლო მისი მართვისა და კონტროლის უფლება აქვს დირექტორს ჯემალ მაღაყმაძეს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა დამამუშავებელი მრეწველობა: ლითონის ჭედვა, წვეხვა, შტამპვა და გლინვა; ფხვნილოვანი მეტალურგია (საწარმო ცივად გლინვის წესით თუნუქისაგან აწარმოებს როგორც სახურავებსა და აქსესუარებს, ჰაერსატარი სისტემის მილებსა და აქსესუარებს, ასევე ცალკეული შეკვეთით მიღებულ საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო დანიშნულების ნივთებსა და დეტალებს), ახორციელებს ლიფტების მიწოდებას მონტაჟით, მშენებლობაში გამოსაყენებელი მსუბუქი კონსტრუქციებით ასწყობი ფართების მიწოდებას მონტაჟით, აქვს არაალკოჰოლური სასმელების საბითუმო ვაჭრობა და დისტრიბუცია (ხილის წვენი საფირმო ნიშნით DIMES) და ასევე ეწევა საიჯარო საქმიანობას. კომპანია მარაგების შევსებას ახორციელებს იმპორტირებით და მისი ძირითადი მომწოდებელია თურქეთი.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

შესავალი

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება შეადგინა 2018 წელს, აღსანიშნავია ისიც რომ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის მან ვერ მოახერხა ყველა ანგარიშის მსს ფასს სტანდარტის მიხედვით გადათვლა, რამაც გამოიწვია მაკორექტირებელი რიცხვების შემოტანა მიმდინარე ანგარიშგებაში. 2019 წლის განმავლობაში საწარმომ მოახდინა ძირითადი საშუალებების გადათვლა მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, დებიტორებსა და კრედიტორებთან ურთიერთ შედარებების გაკეთება, ასევე განახორციელა საბანკო სესხების გადაფასება, რამაც გავლენა იქონია მოგება-ზარალის ანგარიშზე.

კერძოდ:

შინაარსი	2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი	2018 წლის დაზუსტებული მონაცემი	მაკორექტირებელი რიცხვი
გრძელვადიანი აქტივები	2,153,358	2,530,149	376,791
მოკლევადიანი აქტივები	2,970,398	2,940,246	-30,152
მთლიანი აქტივები	5,123,756	5,470,395	346,639
გრძელვადიანი ვალდებულებები	1,146,551	678,012	-468,539
მოკლევადიანი ვალდებულებები	2,529,394	3,094,028	564,634
მთლიანი ვალდებულებები	3,675,945	3,772,040	96,095
მთლიანი კაპიტალი	1,445,811	1,696,355	250,544
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	5,123,756	5,470,395	346,639

1. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღირიცხა თვითღირებულებით რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწარმომ 2019 წელს შეცვალა ძირითადი საშუალებებისათვის ამორტიზაციის დარიცხვის პრინციპი და ის მოიყვანა მსს ფასის სტანდარტთან შესაბამისობაში, ყოველი მანქანა დანადგარისათვის განისაზღვრა სასარგებლო გამოყენების წელი და მას ცვეთა დაარიცხა წრფივი მეთოდით, გადაითვალა რა შემენიდან საანგარიშო პერიოდის ბოლომდე დარიცხული ამორტიზაცია გამოვლენილი სახვაობები აისახა წარმოდგენილ ბალანსში.

კერძოდ: წარმოდგენილ 2018 წლის ფინანსურ ანგარიშში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 2,136,588 ლარი საიდანაც 985,630 ლარი მიწის ნაკვეთის ხოლო 1,150,958 შენობა-ნაგებობების, მანქანა დანადგარებისა და სხვა ინვენტარის ღირებულება იყო, მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად გადათვლის შემდეგ მათი საბალანსო ღირებულება გაიზარდა 376,791 ლარით და შეადგინა 1,527,749 ლარი, ხოლო ძირითადი საშუალებების საერთო ღირებულება დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით 2018 წლის ბოლოსათვის გახდა 2,513,379 ლარი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში მისგან ეკონომიკური სარგებელი. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში გაასხვისა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ: 2018 წლის ბოლოს საწარმო ფლობდა 985,630 ლარის საბალანსო ღირებულების 8 528 კვმ არასასოფლო და 113 556 კვმ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, საიდანაც გაყიდვის გზით გაასხვისა 84,255 ლარის საბალანსო ღირებულების 30 000 კვმ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი. გაწია ნაწილი მიწის ნაკვეთის მომანდაგების ხარჯი და ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის იგი ფლობს 908,259 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთებს რომლებიც სრულად არის დატვირთული იპოთეკის ხელშეკრულებებით.

დასახელება	საკადასტრო კოდი	ანგ. ნომერი	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთი ბათუმი	05.05.15.004	2110	378,067
მიწის ნაკვეთი თბილისი	01.72.14.038.563	2110	92,020
მიწის ნაკვეთი მარტყოფი	81.10.27.553	2110	136,369
მიწის ნაკვეთი მარტყოფი	81.10.38.078	2110	301,803
		ჯამი:	908,259

ხოლო ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის ბოლოსათვის დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით შეადგენს 2,341,190 ლარს საიდანაც 908,259 ლარი მიწის ნაკვეთების ხოლო 1,432,931 ლარი შენობა-ნაგებობების, მანქანა დანადგარებისა და სხვა ინვენტარის ღირებულებაა.

2. საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციოდ იყენებს საკუთარი შენობა ნაგებობების ცალკეულ ნაწილს, სასაწყობე ფართებსა და სპეციფიური საქმიანობისათვის სასაწყობე ფართების სახურავის ზედაპირს სადაც მობილურ ოპერატორებს განთავსებული აქვთ საკუთარი სიგნალის მიმღებ გადამცემი ტექნიკური აღჭურვილობა. აღნიშნულ საქმიანობას კომპანია ეწევა საიჯარო მომსახურეობის ფარგლებში.

3. მარაგები

კომპანია მარაგების აღრიცხვას ახორციელებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა მარაგების გადახარისხება და იმ პროდუქციის მიმართ რომელიც აღმოჩნდა ე.წ ჩაწოლილად მოახდინა ტესტირება მარაგების გაუფასურებაზე, აღნიშნული გადაფასების ხარჯმა შეადგინა 58,545 ლარი რაც აისახა 2019 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია მიმდინარე პერიოდამდე რეალიზებული პროდუქციისა.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. დებიტორების დაგახდის ქცევის საფუძველზე საწარმოს შემუშავებული აქვს გაუფასურების (საკრედიტო დანაკარგების) ზარალის პოლიტიკა გაყიდვების საერთო მაჩვენებლიდან, გადაუხდელი თანხების პროპორციული თანაფარდობის მიხედვით. ამასთან საწარმო ისეთ დებიტორულ დავალიანებას რომლის გადახდისუუნარობა უტყუარია, გაუფასურებაზე აფასებს ინდივიდუალურად. კომპანიამ 2019 წელს განახორციელა დებიტორ-კრედიტორებთან შედარება და დაადგინა რომ 2018 წლის შესადარისი მონაცემის მაკორექტირებელი რიცხვი არის 28,376 ლარი, რაც გამოწვეულია დებიტორის მხრიდან, რომელიც ამავე დროს არის კომპანიის კრედიტორიც, მას განხორციელებული შესყიდვისთანავე დავალიანება გადაფარული აქვს კრედიტორული დავალიანებით, (რაც გამოვლინდა შედარებით) აღნიშნული შესაბამისად იწვევს ცვლილებას სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების 2018 წლის მონაცემებშიც.

2019 წელს კომპანიის მიერ განხორციელებული საექვო მოთხოვნების კორექტირების რიცხვია 55,203 ლარი, რომელიც წარმოადგენს 01,01,2017 წლამდე პერიოდის მისაღები თანხის ნაწილს რომელზეც კომპანიას გადახდილი აქვს მოგების გადასახადი, აღნიშნულ პერიოდამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სავაჭრო ვალდებულებები

როგორც მეოთხე პუნქტში ავღნიშნეთ დებიტორულ კრედიტორული შედარებისას გამოვლინდა სხვაობა მომწოდებელთან რამაც გამოიწვია ცვლილება შესადარისი პერიოდის მონაცემში 24,678 ლარის ოდენობით. საწარმო მომწოდებლებთან ურთიერთობისას ახორციელებს როგორც ავანსად გადახდილი თანხით საქონლის შესყიდვას ასევე სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. საწარმო ყოველი წლის ბოლოს ახორციელებს საკრედიტო ნაშთის გადაფასებას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით და მისგან გამოწვეული სხვაობა აისახება წლის მოგებასა და ზარალში.

6. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. საწარმოს საბანკო სესხები უზრუნველყოფილია საწარმოს საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 1). აღნიშნული სესხები აღებულია აშშ დოლარისა და ევროს ფულადი ერთეულით.

გრძელვადიანი სესხის (აშშ დოლარი) დაფარვის ვადა 2027 წლის 31 მაისს, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7% (2018 წელი 7%).

მოკლევადიანი საბანკო სესხის (აშშ დოლარი) პროცენტული განაკვეთია წლიური ეფექტური 7% (2018 წელი 7%)

ხოლო საბანკო სესხის, რომელიც განსაზღვრულია ევროს ფულადი ერთეულით (დაფარვის ვადა 2021 წელი) საპროცენტო განაკვეთია 5,8%. (2018 წელი 5,8%)

სასესხო ხელშეკრულებების დეტალური შესწავლით გამოვლინდა განსახორციელებელი ცვლილება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების ფინანსურ აღრიცხვაში, საწარმო სესხის ხელშეკრულებას რომელიც ერთი წლითაა განსაზღვრული აღრიცხავდა გრძელვადიან სესხად, გასწორების შემდგომ 468,527 ლარი გრძელვადიანი სესხის ანგარიშიდან გადავიდა მოკლევადიანი სესხის აღრიცხვის ანგარიშზე, აღნიშნული ოპერაცია არის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი პერიოდის მაკორექტირებელი და ის კორექტირდება 468,527 ლარით.

ასევე არმოჩნდა რომ 2018 წლის ფინანსური ანგარიშის შედგენისას მოხდა მათემატიკური შეცდომა და საწარმოს მიერ გადასახდელი პროცენტი ნაცვლად 232,494 ლარისა წარმოდგენილი

იქნა 127,300 ლარი, რის შედეგადაც აღნიშნული ანგარიშის მაკორექტირებელი რიცხვია 105,194 ლარი.

7. ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან გაწეული მომსახურებიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ანგარიშსწორება მომხმარებლებთან ხდება როგორც გაყიდვისთანავე ასევე შემდგომი გადახდისა და ავანსად მიღებული თანხის პრინციპით.

8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში გასანაწილებელ დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 229,937 ლარი, საიდანაც 130,985 ლარი გაცემული აქვს თანხობრივი განაცემის ხოლო 98,952 ლარი დივიდენდის სახით გაცემული სასაქონლო მატერიალური აქტივია. კომპანიამ დივიდენდის სახით განხორციელებულ განაცემზე დარიცხული მოგების გადასახადი 40,577 ლარი აღიარა და გადაიხადა. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გაწეულმა დასაბეგრმა ხარჯებმა (უსაბუთო ხარჯები) შეადგინა 99,500 ლარი, შესაბამისად დარიცხული მოგების გადასახადი 17,603 ლარი ასევე აღიარა და გადაიხადა.

9. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

2019 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო ზარალმა შეადგინა 226,619 ლარი, საიდანაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გადაფასების შედეგად მიღებულ იქნა 15,010 ლარის ზარალი, კრედიტორული დავალიანების გადაფასების შედეგად 44,729 ლარი მოგება, ხოლო სესხების გადაფასების შედეგად 166,879 ლარის ზარალი.

2018 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო ზარალმა შეადგინა 83,842 ლარი, საიდანაც ფულადი სახსრებისა დამათი ეკვივალენტების გადაფასების შედეგად მიღებულ იქნა 6,303 ლარის ზარალი, კრედიტორული დავალიანების გადაფასების შედეგად 4,553 ლარი მოგება, ხოლო სესხების გადაფასების შედეგად 82,092 ლარის ზარალი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	Note	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	7	5,520,089	5,275,146
თვითღირებულება		(3,891,329)	(3,656,533)
საერთო მოგება		1,628,759	1,618,613
სხვა შემოსავლები		66,796	8,528
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(919,326)	(1,085,110)
მიწოდების დანახარჯები		(3,863)	(3,872)
საპროცენტო ხარჯი	9	(134,848)	(108,934)
სხვა ხარჯები		(309,261)	(216,373)
საოპერაციო მოგება		328,258	212,852
ფინანსური შემოსავალი		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	6	(226,619)	(83,842)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(226,619)	(83,842)
მოგება დაბეგვრამდე		101,639	129,010
მოგების გადასახადი	8	-	-
პერიოდის მოგება		101,639	129,010
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		101,639	129,010

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	Note	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	2,341,190	2,513,379
საინვესტიციო ქონება	2	16,770	16,770
ბიოლოგიური აქტივი		0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0
		2,357,960	2,530,149
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		134,986	122,894
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1,042,314	787,833
მარაგები	3	1,172,065	2,029,519
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		0	0
		2,349,365	2,940,247
მთლიანი აქტივები		4,707,325	5,470,396
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,473,541	1,696,355
გადაფასების რეზერვი		0	0
		1,475,541	1,698,355
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		513,935	678,012
ანარიცხები		0	0
		513,935	678,012
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		1,992,873	1,652,716
გადავადებული შემოსავალი		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	539,773	1,338,229
საგადასახადო ვალდებულებები		-296	-129,411
გადასახდელი პროცენტი		185,500	232,494
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		2,717,849	3,094,029
მთლიანი ვალდებულებები		3,231,784	3,772,041
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,707,325	5,470,396

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მოძრაობა

შემოსავალი პირდაპირი საქმიანობიდან	5,407,882	
სხვა შემოსავლები	66,125	
ინვესტიცია	597,247	
მოწოდებელზე გადახდა		3,630,817
სხვა ხარჯები		2,297,360
დივიდენდი		130,985

სულ	6,071,254	6,073,942
------------	------------------	------------------

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
01,01,2019 **122,894**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
31,12,2019 **134,986**

საანგარიშგებო პერიოდის შემგდომი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. დასაწყისში კომპანიამ შეასრულა საბანკო სესხის ერთ-ერთი ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება 234,179 ეუროს ოდენობით რისთვისაც კომპანია 2019 წლის განმავლობაში აკეთებდა თანხების მობილიზებას, თუმცა აღნიშნული სასესხო ვალდებულება კომპანიამ განაახლა და დარჩა შემდგომში გადასახდელად.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის ჯემალ მაღაყმადის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირები:

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე

ფინანსური მენეჯერი: ზამირა ლორთქიფანიძე